პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | შაბათი, 4 აპრილი 1925 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 3 კაპ.

# წითელი ასკერი

№ 73 (771) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 | განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

29 მარტს დილის 10 საათზე დანიშნული თბილისში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების სამხედრო, პარტკორ—ახკორების და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა

## თათბირი

**შესდგება კვირას 5 აპრილს დილის 10 საათზე პოლიტგანყოფილების შენობაში.**

**ყველა აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულოა.**

**რედაქცია.**

## დისციპლინა წითელ ჯარში და პარტია.

ჩვენ ხშირად ვსწერთ დისციპლინის განმტკიცებაზე.

კიდევ უფრო მეტს დავსწერთ, სანამ მართლადაც არ დავაყენებთ მას სასურველ სიმაღლეზე წითელ ჯარში.

რათ ვსვამთ ამ საკითხს დღეს ჩვენ?

იმიტომ რომ მომავალ შეიარაღებულ შეტაკებებისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, ჩვენ აქედანვე უნდა ვემზადოთ. სწორედ დღეს მშვიდობიან პირობებში წითელ არმიამ უნდა იზრუნოს თავის ძლიერების ზრდაზე. მთავარი გარანტია ამ ძლიერების არის რკინისებური რევოლიუციონური დისციპლინა.

იმარჯვებს ის, ვის რიგებშიც გამეფებულია მტკიცე დისციპლინა აქტივობაზე და შეგნებაზე აშენებული.

და ასეთი დისციპლინა მუდამ უნდა ახასიათებდეს წითელ ჯარს. ამიტომაც თითეული წითელი არმიელის, მეთაურის და პოლიტმომუშავეს წინაშე მთელი სიგრძე სიგანით წამოჭრილია ეს ამოცანა, რომლის შესასრულებლად მან ბევრი ენერგია და მუშაობა უნდა გასწიოს.

დისციპლინის განმტკიცების საკითხი აგრეთვე დაყენებულია ჯარის პარტორგანიზაციების წინაშე.

კომუჯრედი, კომუნისტი და კომკავშირელი ყოველგვარ რევოლიუციონურ საქმეში მაგალითის მაჩვენებელი არიან სხვებისთვის. რევოლიუციონურ დისციპლინის განმტკიცებაშიც პირველი უნდა იყონ.

თავის სიტყვაში არმიის კომუჯრედთა მდივნების თათბირზე ამხ. რატნეკმა სთქვა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ კომუნისტი და კომკავშირელი დისციპლინის მაგალითი იყვნენ, რომ მათ უსწორდებოდნენ ყველა უპარტიო წითელ-არმიელები“.

ეს დებულება ერთს წუთს არ უნდა დაივიწყონ, როგორც ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა, ისე თითეულ კომუნისტმა და კომკავშირელმა.

დისციპლინის განმტკიცების საკითხი დიდათ არის დამოკიდებული მათგან და ამიტომაც მათ აქტივობისაგან და სწორ მუშაობისაგან ამ მხრივ 90 პროც. უზრუნველყოფილია ამ ფრიად დიდი ამოცანის ცხოვრებაში გატარება.

ადგილობრივი პარტორგანიზაციები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ როგორც უმცროს ისე უფროს მეთაურებს რევოლიუციონური დისციპლინის დამყარებაში. როგორც ყოველთვის და ყოველგან ისე ამ საქმეშიც ჩვენმა პარტიამ უნდა გამოიჩინოს სათანადო თაოსნობა, ენერგია და აილოს მუშაობის სწორი ხაზი.

მაშინ დისციპლინის განმტკიცების საკითხიც საბოლოოდ გადაიჭრება.

## „ბრიტანეთის გვირგვინის შეურაცხმყოფი კარიკატურები.“

ინგლისური გაზეთი „მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ თემთა პალატის კონსერვატორულ წევრებს განზრახული აქვთ მიაქციონ საგარეო საქმეთა მინისტრის ყურადღება „პრავდა“-ში და „იზვესტია“-ში მოთავსებულ ლორდ კერზონის წინააღმდეგ მიმართულ წერილებსა და კარიკატურებს, რომლებიც „შეურაცყოფენ ბრიტანეთის გვირგვინს“.

# ახალი რადიო-ამბები

## ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის გარშემო.

### ამხ. ჩიჩერინის ნოტა პოლონეთის რწმუნებულისადმი.

ჩიჩერინმა გაუგზავნა პოლონეთის სრულუფლებიან მინისტრს და საგანგებო რწმუნებულს-კინტკენსკის ნოტა, რომელშიაც საბჭოთა მთავრობის სახელით პროტესტს უცხადებს პოლონეთის მთავრობას ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მხეცურად მოკვლის გამო.

—დარწმუნებული ვარ—ნათქვამია დასასრულ რომ პოლონეთის მთავრობა მოახდენს განკარგულებას და გამოიძიებს ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის საქმეს და დამნაშავენი სათანადო სასჯელს მიიღებენ; მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ პოლონეთის მიერ ვალდებულების აუსრულებლობა პატიმართა გაცვლის საქმეში სრულ უფლებას აძლევს საბჭოთა მთავრობას თავისუფლად მოიქცეს, თანახმად საბჭოთა კავშირში არსებულ კანონებისა, იმ პირთა მიმართ, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ გასაცვლელად პოლონეთში.

**ჩ. ჩერინი.**

## პატრი უსსასი გადმოცემულ იქნა სასამართლოს განკარგულებაში.

2 აპრილს პატრი უსსასი გადმოგზავნილ იქნა მინსკიდან ლენინგრადში სასამართლოს ძალთა განკარგულებაში. უსსასთან ერთად გადმოგზავნილ იქნა პატიმრებზე გადასაცვლელად გაგზავნილი, ყოფილი არალეგალური კონსული ტფილისში ლაშკევიჩი.

## სცდილობენ გააქრონ მხეცური მოქმედების კვალი.

როგორც ვარშავიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, პოლონეთის მთავრობამ მისწერა სტოლბცას მამასახლისს დაასაფლაონ მხეცურად ნაწამები და მოკლული ვეჩორკევიჩი და ბაგინსკი და არავითარ შემთხვევაში არ მისცენ მათი გვამები ნათესავებს. ასეთი განკარგულების მიზეზად პოლონეთის სეიმის წრეებში ასახელებენ იმას, რომ პოლონეთის მთავრობას სურდა გაექრო იმ მხეცური წამების კვალი, რომელიც მიაყენეს ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩს პოლონეთის ჟანდარმებმა.

ამბობენ, რომ პოლონეთის სამხედრო ექიმებმა, რომლებსაც ოპერაცია უნდა გაეკეთებიათ ვეჩორკევიჩისთვის, ჟაასრულეს ჯალათების მიერ დაწყებული მკვლელობა და აჭკუწეს ვეჩორკევიჩი.

## „დამბლონის პოლიტიკური ანდერძი“.

ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრაპორუჟ“ აქვეყნებს წერილს „დამბლონის პოლიტიკური ანდერძი“ს სათაურით, რომელშიც აწერილია მისი კონფლიქტის ისტორია ბელგიის რეფორმისტულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელებთან. თავის ანდერძში დამბლონი იცავს კომუნისტურ პრინციპებს, ჰგმობს კაპიტალისტურ პრინციპებს ეროვნულ თავდაცვის საქმეში, გამოსთქვამს აუცილებლობას რუსეთის რევოლიუციასთან შეერთების შესახებ, ზიზღით იხსენიებს ქართველ მენშევიკებს და მხარს უჭერს პროლეტარიატის დიქტატურას.

დამბლონი ბელგიის მუშათა პარტიის ერთი დამაარსებელთაგანია და დიდი სიყვარულით სარგებლობდა ბელგიის მუშათა შორის.

## კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

### ამხ. ბუხარინის სიტყვა აგრარულ საკითხის გარშემო.

2 აპრილს საღამოს სხდომაზე აგრარულ საკითხის გარშემო მ ხსენებით გამოვიდა ბუხარინი.

„კაპიტალისტურ ქვეყნებში—განაცხადა მან—ბევრი კომუნისტი სთვლის გლეხთა საკითხს მეორე ხარისხოვან საკითხად, მაგრამ ასეთი შეხედულება არ არის სწორი, ეს არის ტროცკიზმის შეხედულება. დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არის სამი გადამჭრელი სოციალური ძალა: მსხვილი აგრარიები და მსხვილი ბურჟუაზია, პროლეტარიატი და გლეხობა. გლეხობა გადამჭრელ როლს თამაშობს კლასების ძალთა განწყობილებაში. ტროცკიზმის ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ იქ ვერ არის გათვალისწინებული და სათანადოდ შეფასებული გლეხთა საკითხი. უნგრეთის პროლეტარიატის დიქტატურის დაცემის მთავარი მიზეზი იყო შემცდარი პოლიტიკა გლეხთა საკითხში.

გლეხთა ორგანიზაციების ძირითადი მოთხოვნილება ტრიალებს საგადასახადო საკითხების გარშემო. საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკას და ის გამოყენებულ უნდა იქნას ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და გლეხობის შორის განხეთქილების მოსახდენად და მუშათა და გლეხთა შესაკავშირებლად.

გლეხთა მასების მიმხრობის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება. სათანადო აგრარულ პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ბოლშევიზაცია.

## საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაცია ლონდონში.

ოთხშაბათ საღამოს ლონდონში ჩავიდა საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაცია.

სადგურში დელეგაციას შეეგება ბრიტანეთის პროფ მოძრაობის წარმომადგენლები ბრამლი, ტეილერი, ბრომლეი, ჯონ ტერნერი, და აგრეთვე ლონდონში მყოფი საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ამხ. რაკოვსკი.

## არჩევნების გარშემო გერმანიაში.

სახალხო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა კვლავ წამოაყენონ იარესის კანდიდატურა პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების დროს.

## არჩევნებში არ გასულა არც ერთი სოციალ-დემოკრატი.

სამრეწველო ქალაქ ლიმბახში (საქსონია) ჯერ-ჯერობით დასრულდა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნები მხოლოდ 16 სამრეწველო დაწესებულებაში. არჩეულია 72 კომუნისტი, 9 უპარტიო და არც ერთი სოციალ-დემოკრატი.

7 მაღაროში 11-დან ხმის უმეტესობა ეკუთვნის რევოლიუციონურ მუშებს.

## „ალექსი რიკოვი იან რუძუტაკი“.

გემის მშენებელ ტრესტმა გადასწყვიტა ააგოს ორი გემი—საყინულე—„ალექსი რიკოვი“ და „იან რუძუტაკი“.

# უბედური შემთხვევა მოსკოვ-ყაზანის გზაზე.

მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე უბედურ შემთხვევების გახშირების გამო, გზათა კომისარმა რუძუტაკმა ვასცა განკარგულება დაისაჯონ, როგორც უმაღლესი ხელმძღვანელები, ისე გზის დაბალი აგენტები.

30 მარტის შემთხვევის გამო პასუხის გებაში მიცემულ იქნა რამოდენიმე პირი.

დანიშნულია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს 30 მარტს მატარებლის გადავარდნის მიზეზი.

# თევზი მურმანსკის სანაპიროებში.

ჩრდილო დასავლეთის თევზის ტრესტი იტყობინება მურმანსკიდან, რომ მურმანსკის სანაპიროებს დიდძალი თევზი მოაწყდა. მეთევზეების გემები დიდძალი ნანადირევით ბრუნდება უკან.

# კომკავშირელთა გაზეთი.

რკპ-ს ცეკას დადგენილების თანახმად ახლო დროში ლენინურ ახკომკავშირის ცეკა შეუდგება საკავშირო გაზეთის გამოცემას. პირველ ხანებში გაზეთი გამოვა კვირაში ორხელ.

# 200 საფოსტო განყოფილება.

გლეხთა საჭიროების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, ნიჟეგოროდის გუბერნიის ქოხსამკ თხველოებში და სოფლის საბჭოებში იხსნება ორასამდე საფოსტო განყოფილება.

# ბათუმის ნავთსადგურში მომხდარ კატასტროფის შესახებ.

გემ „პიონერზე“ დაღუპულ ათი კაცისგან, ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ იპოვეს. გამოირკვა, რომ გემი დაღუპულა აფრების გაშლის დროს. ძლიერმა ქარიშხალმა გადააყირავა გემი. მაშველ გემებმა ვერ მოახერხეს „პიონერთან“ მიახლოება, ვინაიდან ზღვა ძლიერ ღელავდა. მოახლოებული განმანადგურებული დაეჯახა „პიონერს“ და გაიზარა. მაგრამ მიუხედავად მასზე მოსალოდნელ საფრთხისა, მაინც გადაარჩინა სამი კაცი.

დაღუპულები—წვრილ ოჯახის პატრონებია. მიღებულია ზომები მათ ოჯახებზე დასახმარებლად.

# ზღვის ნაპირის გამაგრება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველო აწარმოებს მუშაობას ზღვის ნაპირების გასამაგრებლად „ზელიონი მისთინ“ ბოტანიკური ბაღის რაიონში.

მუშაობა მალე დამთავრდება.

# უჯრედების მდივანთა და აგიტპროპ-მომუშავეთა თათბირი.

## არმიის პარტორგანიზაციების ამოცანების შესახებ საერთო ამოცანებთან დაკავშირებით არმიის აღმშენებლობაში.

### ა. წ. დრ. არმიის პოლიტსამმართვე ლოს უფროსის ამხ. რატნეკის მოხსენება.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების შემდეგ მე დამრჩენია მხოლოდ გავაკეთო დასკვნები და აღვნიშნო ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ დასკვნებიდან. ჩვენს სამხედრო პარტორგანი-



ამხ. რატნეკი.

ზაციის წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა: გატარებულ იქნას არმიის პირობებში ლოზუნგი-„სოფლისაკენ“. (ყურადღება სოფელს).

არმია—ეს არის საბჭოთა სახელმწიფოებრივობის სკოლა. აქ წითელ არმიელიდან უნდა გამოვიყვანოთ ჩვენ ახალი გლეხი, რომელიც სოფლის ხელისუფალთა წინაშე ქედს კი არ იხრის, არამედ ის წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების თანამშრომელს და შეგნებულ მებრძოლს გაუწვრთნელობისა და სიბნელის წინააღმდეგ. აი ჩვენი ამოცანა.

როგორ უნდა განხორციელდეს ის?

დღეს, როცა ჩვენ გადევდივართ მილიციონურ აღმშენებლობაზე, საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ წითელი არმიის საშუალებით დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს. წითელმა არმიამ უნდა დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად მუშაობაში, ის უნდა წარმოადგენდეს ჩვენი პარტიის იდეების გამტარებელს. კავკასიაში ტერიტორიალური აღმშენებლობა ეს-ეს არის იწყება, მაგრამ ჩვენი ამოცანები იგივეა.

ჩვენ მშვიდობიანობის მოყვარული ვართ, მაგრამ საფრთხე არ კლებულობს, ის იზრდება. ამისათვის ჩვენ აქედ ნვე უნდა ვემზადოთ. მთელი ქვეყანა უნდა გადაიქცეს ერთიან სამხედრო ბანაკად. მთელი მუშურ-გლეხური ზურგი უნდა გაიწრთვნას სამხედრო საქმეში.

**ჩვენი ბრძოლის უნარიანობის ძირითადი პოლიტიკური ნიადაგი, ეს არის კავშირის განმტკიცება მუშათა და გლეხთა შორის.**

ეს კარგად ესმის ჩვენს მტრებს და სცდილობენ წაახდინონ ჩვენი მუშა და გლეხი.

ჩვენი სოფელი იზრდება მეურნეობისა და პოლიტიკურის მხრივ. სოფლის მოთხოვნილება უფრო ჩქარა იზრდება ვინემ ჩვენი ქვეყნის რესსურსები. ეს ემჩნევა გლეხობის განწყობილებასაც, იზრდება მისი აქტიურობა.

**ეს არის ჩვენი მეურნეობის ზრდისა და სოფლის აყვავების დაწყების შედეგი.** თუ ჩვენ გადავჭრით ამასთან დაკავშირებულ ამოცანებს, ვიხილავთ სოფლის აყვავების არ ნახულ მაგალითს.

ამიერკავკასიის სოფელიც მიდის იმავე ზრდისა და განვითარების გზით. მხოლოდ ის ახალგაზრდაა, როგორც საბჭოთა სოფელი. მთავარი, რომელიც ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს სოფლად,—ეს არის ღარიბთა კლასობრივი ბრძოლა „კულაკებთან“. ღარიბთა მეურნეობის გაძლიერების გზა— ეს არის კოოპერაცია და კავშირი პროლეტარულ ქალაქთან.

წითელი არმიელი მოვიდა ყაზარმაში გლეხური განწყობილებით. ჩვენ უნდა შევისწავლოთ წითელ-არმიელი და უნდა გადავაქციოთ ის არა „მორჩილად“, არამედ საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მომხრედ. **გლეხურ ახალგაზრდობის აქტიურობაზე უნდა შენდებოდეს ჩვენი დისციპლინა.** აქ მოხსენებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი არმია ჯანსაღია, მაგრამ მოხსენებებში იყო სიმშრალე, რაიც გვაფიქრებიებს, რომ ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ სავსებით ცოცხალ ადამიანს, წითელ-არმიელს—თავის ინტერესებით და მოთხოვნილებით.

ახალი, დადებითი მხარე წითელ-არმიელის განწყობილებაში —ეს არის მისი ლტოლვა სწავლისადმი. ის მოწყურებულია სწავლას და ჩვენ ვასწავლით მას ლენინის მოძღვრებას მუშისა და გლეხის კავშირისა და ამ კავშირის შემდეგი გზის შესახებ.

**ქონებრივი საკითხი.**

ქონებრივი საკითხი კინაღამ ძირითადი საკითხია ამ ჟამად. წითელ-არმიელი ფიქრობს, რომ ჩვენ გვინდა მისი გაპროლეტარება. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. აქედან დიდი მნიშვნელობა ექნება საკითხის გარკვევას „კულაკისა“ და საშუალო მქონეს შესახებ.

**საჭიროა მტკიცედ შევიგნოთ, რომ ჩვენ წინ წავალთ მხოლოდ წვრილ მესაკუთრე საგლეხო მეურნეობის ამაღლების საშუალებით.** ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ ღარიბ გლეხს სურს გაზარდოს თავისი მეურნეობა.

საჭიროა სწორად იქნას ახსნილი ქალაქის ისტორიული მნიშვნელობა და ჩაუნერგოთ გლეხ წითელ-არმიელს შეგნებაში, **რომ უქალაქოდ სოფელს არ შეუძლია განვითარდეს და რომ მხოლოდ პროლეტარული ქალაქი გამოიყვანს გლეხობას აყვავებისა და კულტურის ფართე გზაზე.**

**დისციპლინის გაძლიერება.**

წითელ-არმიელთა მასებში ჯერ კიდევ ვერ არის დისციპლინის საკითხი საკმაოდ გაშუქებული. გლეხი მოდის ყაზარმაში საგლეხო მეურნეობის დისციპლინით, რომელიც სამხედრო დისციპლინასთან შედარებით გაცილებით სუსტია, ამიტომ ცხადია, რომ პირველ ხანებში ამ საკითხში ჩვენ დაბრკოლება გვხვდება. და აქ საქმე პირველ ყოვლისა კომუნისტებსა და კომკავშირელებზეა. **კომუნისტი და კომკავშირელი უნდა იყონ დისციპლინის მაგალითი, რომ მათ ბაძავდეს მთელი უპარტიო წითელ არმიელთა მასა.**

პარტ-ორგანიზაციების ამოცანა დისციპლინის საკითხებში მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმარონ ამ მუშაობაში მეთაურთა შემადგენლობას. რკინის დისციპლინა, შეგნებასა და აქტიურობაზე აგებული,—აი რა არის ჩვენი მიზანი.

**ერთუფროსობა.**

დისციპლინის საკითხთან დაკავშირებულია ერთუფროსობის საკითხი. როგორია პარტორგანიზაციების ამოცანები ამ საკითხში. აქ მთავარი ისაა, რომ აქ ჩვენ გვყავს ასივე პროცენტი საბჭოთა მეთაურთა შემადგენლობისა. უნდობლობისა და ნახევრად ნდობის საკითხი სრულებით მოხსნილ უნდა იქნას. უპარტიო კომანდირი წითელ არმიაში არის და იქნება. არავითარი კომუნიზაცია მეთაურთა შემადგენლობისა „100 პროცენტით“ არ შეიძლება იქნას.

ეროვნულ ნაწილებში ჯერ კიდევ არ ტარდება ერთ უფროსობა.

აქ მეთაურთა შემადგენლობას კიდევ არ აქვს ისეთი გამოცდილება, როგორც ნუმერულ ნაწილებში რადგანაც ეროვნული ნაწილები თავის თავად ახლები არიან.

მაგრამ ეროვნულ ნაწილების მეთაურთა შემადგენლობა გაძლიერებით უნდა მოემზადოს ერთ უფროსობაზე გადასასვლელად, გააფართოვოს თავისი პოლიტიკური ცნობიერების არე და ჩაებას პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში.

**პარტორგანიზაციის მდგომარეობა.**

ჩვენი პარტორგანიზაცია ძლიერი და ჯანსაღია. პარტ-შემადგენლობა არის 9 პროცენტი, კომკავშირელად კი—19 პროც. იზრდება პარტიული მეთაურთა შემადგენლობა. პარტიული მეთაურთა შემადგენლობა ებმება მუშაობაში.

უკანასკნელ დისკუსიას პარტიაში ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, ვინაიდან მან დააინტერესა ფართე მასები და გააფართოვა მათი ცნობიერების არე.

არის შეცდომები პარტორგანიზაციების მუშაობაში ეგრ. წოდ. „პარტიულ ეთიკის“ საკითხებში. ბრძოლა ფუფუნებასთან სწარმოებს და იწარმოებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ ჩაიცვას ქალამნები არამედ ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ქალამხები შევსცვალოთ ჩექმებით, როგორც უბრალო სახნისი გაუმჯობესებული გუთნით.

**ჩვენი ამოცანები.**

1) შესწავლა ჩვენი გლეხური ახალგაზრდობის, შესწავლა მისი იმ ამოცანებთან მტკიცედ დაკავშირებით, რომლებიც სდგას პარტიის წინაშე სოფლად მუშაობაში.

2) წითელ არმიელთა შორის მუშაობის გაღრმავება, ჩვენი ძირა მუშაობის გაცხოველება (ლენინის კუთხეები), უფრო მჭიდრო კავშირი წითელ არმიელთა მასებთან, ძირა პარტორგანიზაციის გაძლიერება.

3) ჩვენი ძირა უჯრედი არ უნდა ძილობდეს, არ უნდა ჩამორჩეს, არამედ უხელმძღვანელოს მასებს, გახდეს ნამდვილი პატარა უჯრედი ჩვენი ძლიერი პარტიისა ადგილებში, ძიიზიდონ პარტიის კომკავშირელი ღარიბებთან ერთად, გააბას კავშირი პარტორგანიზაციისა და ღარიბ გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლებს შორის.

ნაწილების აღმშენებლობის, დისციპლინის, საკითხები ამოცანები და სხვა—უნდა მოექცეს ჩვენი ძირა პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

„კრ. ვ.“

# მწვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ.

ჯარში გაწვევამდე სამხედრო მზადება უკვე დაწყებულია ს.ს.ს. რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრებსა და რაიონებში.

პუნქტებში შეკრებილ ახალგაზრდათა—მწვევამდელთა შორის მუშაობის ერთ-ერთ ხელის შემშლელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მეცადინეობას ვერ ესწრებიან მწვევამდელ ჰასაკის მუშა—მოსამსახურეები, რის გამოც მუშაობა ქალაქებსა და საწარმო ცენტრებში ძლიერ შეფერხებულია.

ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არ ატარებენ ცხოვრებაში ს.ს.რ. კავშირის ცენტრალურ აღმასკომის დადგენილებას მწვევამდელთა შეღავათების შესახებ და მუშაობისაგან არ ანთავისუფლებენ იმ მუშა—მოსამსახურეებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1903—4 წ. წ.-ში და რომელთაც ეხებათ სამხედრო მზადების გავლა.

მწვევამდელთა შორის მომუშავე ამხანაგების მიმართვა ადგ. ორგანოებისადმი,—რომ უკანასკნელებმა განთავისუფლონ მუშაობისაგან მუშა-მოსამსახურე-მწვევამდელები,-რჩება უშედეგოთ.

ადგ. ორგანოების ხელმძღვანელები „მწვევამდელებს ემუქრებიან სამსახურიდანაც დათხოვნით.

სოც. საბ. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასკომის მიერ არის გამოცემული წითელ-არმიელთა შეღავათების კანონთა კოდექსი, სადაც 97, 98 და 99 მუხლების ძალით, მუშა—მოსამსახურეებს, რომელთაც უწევთ ჯარში გაწვევამდე სამხედრო მზადების გავლა, განთავისუფლებულ უნდა იქნან მუშაობისაგან მზადების გავლის მთელი დროის განმავლობაში, ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

ს. ს. რ. კავშირის ცაკის დადგენილებების ზემოხსენებული მუხლები გატარებულია საქ.ს.ს. რესპუბლიკის შრომის კომისარიატის დადგენილებებშიდაც.

ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ან არა აქვთ ეს კანონები და დადგენილებები, ან არა და, არ სურთ გაატარონ უმაღლესი ორგანოების დადგენილებები.

აღძრულ შუამდგომლობაზე ა. კ. ცაკის წინაშე, რომ უკანასკნელს გამოეცა სათანადო დადგენილება, რითაც სავალდებულო გახდებოდა ს. ს. რ. კ. ცაკის მიერ გამოცემული ზემოხსენებული დადგენილება ყველა მის ქვედა მდგომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის—მიღებულია პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ ს. ს. რ. კ. ცაკის მიერ გამოცემული ყოველგვარი დადგენილება სავალდებულოა ყველა მასზე ქვედა მდგომ ორგანოებისათვის, დღიდან ამ დადგენილების უკანასკნელების მიერ მიღებისა და სხ. და ხელახლათ ამ დადგენილების გამოცემას ა. კ. ცაკის საკანონმდებლო კომისია საჭიროთ აღარ სთვლის.

იმავე საკითხზე აღძრულ შუამდგომლობაზე საქ. ს. ს. რესპ. შრომის კომისარიატის წინაშე, უკანასკნელის მიე რაც ხელახალი დადგენილების გამოქვეყნება ცნობილია ზედმეტათ.

შრომის კომისარიატის მიერ გამოიცა მხოლოთ მოკლე განმარტება (იხ. გაზეთები: „მუშა“. „კომუნისტი“ და „ზარია ვასტოკა“ ა. წ. 18 მარტიდან) რომლითაც მოაგონებდა თავისზე ქვედა მდგომ ორგანოებს, რომ ამ საკითხების შესახებ დადგენილებების გატარება სავალდებულოა ყველასათვის.

დღემდე ეს საკითხი კიდევ არ არის მოგვარებული და ამ დარგში დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი.

ეხლა სურათი უკვე ნათელია. მწვევამდელთა შორის მომუშავეებმა ამ დარგში ყოველგვარ გაუგებრობას და მუშა-მოსამსახურეთა დეზერტირობას სასწრაფოთ უნდა მოუღონ ბოლო.

მწვევამდელთა შორის მომუშავეებმა უნდა მოსთხოვონ ადგ. ყველა ორგანოებს მწვევამდელთა შეღავათების შესრულება, ს. ს. რ. კ. ცაკის დადგენილების თანახმათ.

იქ, სადაც ეს საკითხი მწვავეთ სდგას, უმჯობესი იქნება ადგილებიდან დაიწეროს ამის შესახებ გაზეთების ფურცლებზე, რითაც მოეთხოვოს სათანადო ორგანიზაციებს ყურადღების მიქცევა.

მ. ს.—ვი.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი პარტ-საქმიანობა.

29 მარტს 6- სე ლეგიონში შესდგა 1 და 2 კომუჯრედის ღია კრება. დაესწრო ადგილობრივ პარტ ამხანაგების შემადგენლობასთან ერთად აღრიცხვაზე, აყვანილი ცვალებად შემადგენლობის საგრძნობი ნაწილიც. დღის წესრიგში წამოყენებული იქნა შემდეგი საკითხები:

1. ქიმიის თავდაცვის მეგობართა საზოგადოება საბჭოთა რესპუბლიკებში; 2. გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების უფლება მოვალეობანი; 3. მიმდინარე საკითხებში პარტიაში მისაღებ ან გარდასარიცხავ უპარტიო და კომკავშირელი ამხანაგების მიერ შემოტანილ განცხადებების განხილვა.

პირველ საკითხის შესახებ მომხსენებლათ გამოვიდნენ ორივე კომუჯრედის სახელით: ამხ. ამხ. ლორთქიფანიძე და კომახიძე, რომლებიც შეეხნენ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას და სხვა. დასასრულს მომხსენებლები შეეხნენ საბჭოთა რესპუბლიკების ამოცანებს ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოების სახით.

კრებამ აღნიშნული საკითხის გარშემო მიიღო რეზოლიუცია სადაც გამოსთქვამენ სურვილს, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ და ჩაებან აღნიშნულ საზოგადოების საქმიანობაში.

აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად გამოყოფილი იქნა უჯრედი, რომელიც მოახდენს მსურველების აღრიცხვას და ამ უახლოეს ხანებში გადადგამს სათანადო ნაბიჯებს.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბერიძემ.

მან აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობა გლეხების მიმართ.

რამაც ძლიერ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა. შემოვიდა მრავალი უმთავრესად პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები.

რის შემდეგ კრების მიერ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, „რომ დამსწრე ამხანაგები სავსებით იწონებენ ასეთ ნაბიჯებს და უსურვებენ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ—გლეხთა დამხმარე კომიტეტებს მეტ ინტენსიურ საქმიანობას მშრომელი გლეხების საკეთილდღეოთ და მათ უზრუნველსაყოფად.

დასასრულ განხილულ იქნა მეორე კომუჯრედში შემოტანილ პარტიაში მისაღებ და გადასარიცხავ ამხანაგების განცხადებები. უმრავლესობის გარჩევა, სათანადო ტეხნიკური მხარეების შეუსრულებლობის გამო (ავტო-ბიოგრაფიის შეუმოწმებლობა) გადატანილი იქნა შემდეგი კრებისათვის.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ახალი ძალები გვემატებიან.

პირველი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში კომუჯრედი და ახკომკავშირთა უჯრედი გაერთიანებულად აწარმოებენ მუშაობას. უპარტიო წითელ არმიელებთან პარტიულებს ძლიერ კარგი განწყობილება აქვთ. ამის დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ სკოლის ყველა უპარტიო წ. არმიელები თხოულობენ პარტიაში შესვლას და დიდი სურვილი აქვთ ჩაებან მუშაობაში. გაერთიანებულ კრებებს ამხ. უკლებლივ ესწრებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. მოითხოვენ ანკეტებს პარტიაში შესასვლელად.

ახკომკავშირელთა ორგანიზატორმა ამხ. ჩიტიაშვილმა დაარიგა კავშირის ანკეტები, რომელიც გადმოსცეს მას ბიუროს კოლექტივიდან. მსურველები ბევრი აღმოჩნდენ და არც კი გვეყო ანკეტები.

სკოლაში არსებობს აგრეთვე პარტწრე, რომლის მეცადინეობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კომპარტიისა და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირელები. მეცადინეობა სწარმოებს ორჯერ კვირაში. წინასწარ ინიშნება მომხსენებლები და ოპონენტები მომავალი კრებებისათვის.

საერთოდ პარტმუშაობა ძლიერ კარგ დონეზეა დაყენებული ჩვენს სკოლაში.

ახკორი ი. ზუმბაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

### საშვებულებო მზადება.

28 მარტს ქართულ მეთაურთა სკოლის კლუბში შესდგა ახკომკავშირის გაერთიანებული კრება. დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც, გვყავდა მოპატიჟებული პარტიული ამხ-ბი 1-ლ სკოლის და მზვერავთა უჯრედებიდან.

კრებამ მოისმინა ამხ. რამიშვილის და ვაშალომიძის ვრცელი მოხსენება ახკომკავშირის სოფლად მუშაობის შესახებ. ამხანაგებმა გააშუქეს თუ რა მოვალეობა აწევს ახკომკავშირელებს სოფლად მუშაობაში. მასთან ისინი ხაზ გასმით აღნიშნავდენ, თუ როგორი როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა მომავალმა თაობამ.

ამ ცოტა ხანში ჩვენი კურსანტები შვებულებაში მიემგზავრებიან და ამისათვის მომხსენებლების მთავარი ყურადღება გადატანილი იყო იქეთკენ, რომ სოფლად მიმავალ კურსანტებისთვის განემარტათ ყოველივე ის, რაც აინტერესებს სოფლის გლეხობას.

მომხსენებლებმა დიდი ყურადღება მიაქციეს იმას, თუ როგორც უნდა ემუშავათ მათ სარწმუნოების წინააღმდეგ, სადაც გარკვევით იქნა აღნიშნული ჩვენი შეცდომები ამ მიმართულებით.

კრების დამთავრების შემდეგ გამართული იქნა საღამო ჩვენი ახკომკავშირის ძალებით.

წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა „ზეზეჭკორი“, რომლითაც ჩვენი ახკომკავშირის წევრები და მთელი დამსწრე საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩენ.

ჩვენი სკოლის ახკომკავშირელები საკმაოდ მომზადებული წავლენ შვებულებაში და შესძლებენ თავისი ცოდნა გამოიყენონ ცხოვრებაში.

ახკორი შ. ვასაძე.



## ვინ იქნება შემდეგი?

პირველი აპრილიდან ყოველთვიურად ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პირველი ათასეულის თავს ამხ. ჯაფარიძეს, ასეულის თავს ამხ ვაშაკიძეს, ოცეულის თავს ნარიმანიძეს და ზემდეგს ქაჯაიას,

ვსთხოვ რედაქციას აღნიშნულმა ამხანაგებმა ვინ რამდენი თვით გამოიწეროს გაზეთი გამოაცხადოს.

სამხკორი შ. თელია.

## ლიტერატურული გასამართლება.

(1-ლი ლეგიონის 3-მე ასეული.)

ჩვენს ასეულში პირველად მოხდა ლიტერატურული გასამართლება. ეს მოვლენა როგორც პირველი, მეტად ნაყოფიერი გამოდგა. წითელ არმიელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გასამართლებაში. გასამართლებული იქნა ამავე ასეულის მეთაურ შ. თელიას მოთხრობის „მეოცნებე გუშაგი“, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „წითელ არმიელის“ № 55-ში.

შინაარსის გაცნობის შემდეგ მსმენელი არმიელები გაიყვენ ორ ნაწილად. ბრალმდებლებად და დამცველებად. პირველად სასამართლოს წინაშე გამოვიდენ ბრალმდებლები, და მოითხოვდენ რათა ამხანაგების მოღალატე გუშაგი დასჯილი ყოფილიყო უმაღლესი სასჯელით.

მათ საწინააღმდეგოთ დამცველები ამტკიცებდენ, რომ ბრალდებული გუშაგი როგორც პატიოსანი, სანდო წითელ არმიელი იდგა საგუშაგოზე წესიერათ, და ეს მან დაამტკიცა ყარაულის უფროსის მისვლის დროს. მისი ღალატი გამოწვეული არის არა მისი ნებით, არამედ ბუნებრივი მოთხოვნილების აუცილებელი პირობის გამო.

დამცველები სთხოვდენ სასამართლოს, რათა ბრალდებული არ ყოფილიყო დასჯილი უმაღლესი სასჯელით.

საბოლოვო სიტყვაში ბრალმდებლები განმეორებით მოითხოვდენ, თავისას სასამართლომ გამოიტანა შემდეგი შინაარსის განაჩენი:

სასამართლომ მოისმინა რა მეოცნებე გუშაგ სტეფანეზედ ბრალდება, კანონიერად სცნო მასზედ წაყენებული ბრალდება და მიუსაჯა მას დასჯა უმაღლესი სასჯელით.

განაჩენმა მთელი ასეული, აღფრთოვანებაში მოიყვანა.

სასამართლოს დახურვის შემდეგ ერთი წითელ არმიელი ავიდა სკამზე და მოითხოვა უფროსებისაგან მთელი ასეულის არმიელების სახელით-ხშირად მოაწყონ ასეთი გასამართლებები.

ხშირად ასეთი გასამართლებები.

სამხკორი ალ. ტაბატაძე.

## საკლუბო მუშაობა არტლეგიონში.

არტლეგიონში საკლუბო მუშაობა უკანასკნელ ხანებში რამოდენიმეთ შენელდა, რაც გამოიწვია ძველი კლუბის უფროსის გადაყვანამ და ახალის დანიშვნამ. ახალი კლუბის უფროსი უკვე შეუდგა სხვა და სხვა წრეების შედგენას (უკეთესებას), თუმცა წრეების სისტემატიური მუშაობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

წითელი არმიელები ხალისით ეწერებიან წრეებში და დიდი სურვილიც აქვთ ყოველგვარი ცოდნის მიღების.

დრამ-წრე.

საკლუბო წრეების მუშაობიდან ყოველთვის ყველაზე უფრო დრამ-წრის მუშაობა სჩანს. ჩვენი დრამ-წრეც ასეთია. წრე უმთავრესად წითელ არმიელებისაგან შესდგება (გარდა ქალებისა, რომელნიც ლენინის სახელობის მესამე თამბაქოს ქარხნიდან არიან.)

წარმოდგენები იმართება ყოველკვირაში სისტემატიურად, მაგრამ რეპერტუარი არ არის შერჩეული, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება.

გარდა ამისა დრამ-წრეში საკმაოდ მოისუსტებს თეორეტიული მეცადინეობა. საჭიროა დრამ-წრის ხელმძღვანელმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და კვირაში, ერთი საათი მაინც დაიუთმოს მას.

სამხკორი ლ—ო.

## მე მიამბო ეს ამბავი...

ძველს ციხეთა ნანგრევებზე თოვლით დაცრილ არარატთან,
დღეს ნიავმა, დილის სიომ, ცელქმა... გიჟმა—
როგორც მგოსანს, აქ ნასტუმრებს,
მე მიამბო ეს ამბავი.
მე მიამბო ის წარსული, ოხ! ის ხანა,
ძმათა შორის თურმე წინათ ილვრებოდა მუდამ სისხლი,
მიმითითა და მაჩვენა დღესაც სისხლით შენაღები
მთა და ველი.
მითხრა: წინათ სანამ ეს დრო მოვიდოდა-დადგებოდა,
იყო ომი ძმათა შორის, ოხრდებოდა სახლი-კერა,
ბატონი კი სასახლეში ხარობდა და ნეტარებდა
მათ სისხლის ღვრით.
მაგრამ ქარმა... ცეცხლის ქარმა ამოხეთქა ვით ვულკანი,
სრე სასახლებს გაევლო და გიჟმა ნებამ—
ძმათა შორის მოსპო მტრობა, მოსპო შური
და ის დროშა—
იქ რომ ცეცხლს ჰყრის ნანგრევებზე სისხლის ფერა,
აღმართა და განამტკიცა ერთობა და სიყვარული.
მოკვდა შური, სრე სასახლებს ჩამოეშვა შავი ჩადრი.
და იმ ძმებმა სისხლს რო ღვრიდნენ დღეს კომუნა შექმნენ მტკიცე
ჭირში ლხინში მუდამ ერთათ წინ მიდიან,
და მეც მშვიდათ, ამ მთა ველებს დავმღერი და დავბიბინებ,
თავს ვევლები შრომის შვილებს.

ეჩმიაძინი. (სასომხეთი)
26 მარტი.

გოგიტო ციმბირელი.

## ლაფში ვიხრჩვებით.

პირველ ლეგიონის საკარანტინო შენობის წინ არის ერთი წყალსადენი მილი, რომელსაც ყოველ საჭიროებისათვის ხმარობს თითქმის მთელი ლეგიონი.

დიდი უსუფთაობაა, წყალსადენის მილთან კაცი ვერ გაივლის, ისეთი ლაფია გამდგარი.

ამასაც რომ თავი დავანებოთ მილის ირგვლივ საშინელი სიდამპლის სუნი სდგას.

შეუძლებელია იქ წყალის დალევა.

საჭიროა ლეგიონის კომენდანტმა ყურადღება მიაქციოს და გაასუფთავებიოს ადგილი.

სამხკორი ასლან.

## ექვსი თვის მუშაობა.

სამხედრო პოლიტიკურ სკოლის უნცროს ჯგუფში ამ ექვსი თვის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა საერთო მომზადებას, ყველა კურსანტები შეძლების დაგვარად ამზადებდენ ჯგუფში მოცემულ გაკვეთილებს, და ყველანი დაინტერესებული იყვნენ მიეღოთ საერთო განვითარება.

პედაგოგიური საბჭოს მიერ მოცემული პროგრამა უკვე დავამთავრეთ.

მათემატიკაში გავიარედ და დავამთავრედ ის კურსი, რომელსაც გადიან 7 წლიან შრომის სკოლებში. ასევეა სხვა საგნებშიაც.

საგნების უკეთ შეთვისებისათვის კურსანტები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად.

თითოულ ჯგუფში ხელმძღვანელად მიმაგრებული იყვნენ უფრო მომზადებული ამხანაგები. ჯგუფებში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა განვლილ გაკვეთილების განმეორებას.

მომავალი ჩვენი პროგრამა არის პოლიტიკური საგნების შესწავლა, რასაც იმედია ჩვენი კურსანტები წარმატებით დაასრულებენ.

სამხკორი ნ. თავართქილაძე.

## სამხედრო სწავლა ჩვენთან.

ჩვენს ლეგიონში სამხედრო საქმის სწავლება სწარმოებს ორი მიმართულებით: ერთის მხრივ ლეგიონში არსებობს უნცროს მეთაურთა სკოლა, სადაც განსაკუთრებული სწავლება სწარმოებს და მეორე მხრით ასეულებში.

მოლაშქრეებმა კარგად შეისწავლეს იარაღების მოხმარება და მისი სათანადოთ გამოყენება.

ლეგიონის მესვეურების მთელი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული, რომელმაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

საგარნიზონო და შინა ყარაულის წესდების შესწავლაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ის კარგათ აქვთ შეთვისებული.

ჩვენს მოლაშქრეებს ასწავლიან აგრეთვე ტყვია მფრქვევების ხმარებას, რაც თოფის ხმარებასთან ერთად მშვენივრად შეითვისეს.

ამას წინად ლეგიონის არმიელები გაყვანილი იქნენ პრაქტიკაზე.

ერთი კვირის განმავლობაში სწარმოებდა მანევრები, რომლის დროს სათანადოთ გაიწვრთნენ ტაქტიკურ საკითხებში.

შეისწავლეს მტრისა და ბარიკატების მნიშვნელობა ბრძოლის დროს და სხვა.

ყაზარმაში შეძენილი თეორიული ცოდნა საუცხოვოთ გამოიყენეს პრაქტიკულ ვარჯიშობაში.

ამ ჟამად ლეგიონში უკვე დაწყებულია სწავლება იარაღის სროლის საქმეში.

ხშირად ეწყობა ნიშანზე სროლა.

ლეგიონის მესვეურების მთელი ენერგია და ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული.

ამასთანავე სწარმოებს ტაქტიკური მეცადინეობა: სანგრების გამოყენება, მტერზე გადასვლა და სხვა.

დიდი ყურადღება ექცევა ლეგიონში აგრეთვე სამხედრო ქიმიის შესწავლას. მხრჩოლავი ნივთიერების მნიშვნელობა და მისი მოპყრობა, ანტაირების მოხმარება უკვე შეითვისეს.

სულ მცირე ხანში, ჩვენი არმიელები შესაფერისად მომზადებული გვეყოლებიან სამხედრო საქმეში.

ამის თავდებია ლეგიონის გაძლიერებული ტემპით წარმოებული მუშაობა.

**ს. იმნაიშვილი**

## მუშაობა გაჩაღდა.

თანდათანობით იღვიძებს დივიზიის სამმართველოსთან არსებულ თვითმომქმედ ორგანიზაციების მუშაობა. ამას წინად ცენტ. კლუბში იქნა გახსნილი „რემედასი-“ს კუთხე. ამ ჟამად დიდი ხნის შესვენების შემდეგ იწყებს მუშაობას საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაც.

27 მარტს კომუჯრედის ღია კრებაზე ამხ. ფილავამ გააკეთა მოხსენება ამ საზოგადოების შესახებ. ავიაციის მოკლე ისტორიის მიმოხილვის შემდეგ, მომხსენებელმა დაახასიათა ავიაციის მდგომარეობა სხვა და სხვა ქვეყნებში და მისი გამოყენება, როგორც ომში, ისე მშვიდობიან პირობებშიაც.

საწყობების განადგურებისათვის, სპობი თვითმფრინავები საათში გადიან 400 ვერსამდე და სპობენ მტრის თვითმფრინავებს. აღსანიშნავია თვითმფრინავების გამოყენება სასოფლო მეურნეობაში—ამბობს ამხანაგი: „მათი საშვალებით სთესენ და რწყავენ, საწამლავით სპობენ კალიებს, თაგვებს, ზომავენ მიწას და სხვ.

მდიდარი მეთევზეები ნორვეგიაში თვითფრინავების საშვალებით მაღლობიდან უკეთესად ხედავენ სად უფრო მეტი თევზია.

ჩვენი საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ დანგრეულ ქალაქების და დაშლილ მეურნეობის აღორძინებას აწარმოებს. ამიტომ ჩვენ ყველა უნდა დავეხმაროთ საბჭოთა მთავრობას საჰაერო ფლოტის აშენების საქმეში, რისთვისაც ყველა ქალაქებში და ბევრ სოფლებშიაც არსებობენ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებების განყოფილებანი.

ორი წლის განმავლობაში შეკრებილ იქნა 5.000.000 მან. რითაც ააშენეს 45 თვითმფრინავი, 45 შეკვეთილია ცენტრში და 55ც. კი საზღვარ გარეთო“—დაამთავრა ამხანაგმა.

მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო და გაშუქებული იქნა სხვა და სხვა რუქებითა და დიაგრამებით.

ამ მოკლე ხანში დივიზიის სამმართველოსთან არსებულ საჰაერო ფლოტის მეგობართა უჯრედს განზრახული აქვს ცენტრ. წით.-არმ. კლუბში მოაწყოს საჰაერო ფლოტის კუთხე.

**ი. რ.**

## სპორტი ჩვენი ჯარის რიგებში.

3-მე ლეგიონის სპორტწრის ნაკლულევანებაზე ბევრჯერ გვითქვამს. მას არ ქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება. ამ ჟამად როგორც კი ლეგიონი შეუდგა ნორმალურ მუშაობას და მატერიალურად მოღონიერდა, ჩვენს სპორტწრესაც მიექცა ჯეროვანი ყურადღება. თუ დღემდე არ გვქონდა სპორტო ხელსაწყობები და სათანადო ტანსაცმელი, ეხლა ყველაფერი შეძენილ იქნა, რაც სავსებით აკმაყოფილებს ლეგიონის სპორტწრის მუშაობას. სპორტწრის გასაძლიერებლად ჩვენმა უფ-პოლიტ შემადგენლობამ გაიღო თავიანთი კუთვნილი პაიოშები და სხვა.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. სპორტში ეწერებიან, როგორც უფ-პოლიტ შემადგენლობა, ისე წითელ—არმიელებიც. ხელმძღვანელები საკაოდ გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნეები გვყავს. იმედია მომავლისთვისაც უფრო ინტერესით განაგრძობენ მუშაობას.

**პარტკორი ტატი ნელი.**

## ამბები სოფლებიდან.

**აბანო სოფლით.** სოფ. უდეში (ახალციხის მაზრა) ადგილობრივი გლეხკომი შეუდგა აბანოს აშენებას.

**საკრედიტო ამხანაგობანი.** სოფ. კავთისხევსა და ხაშურში იხსნება, სამაზრო აღმასკომის დადგენილებით, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები.

**აგარაკი ასპინძაში.** ასპინძის გლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ასპინძაში, მინერალურ წყლებთან აგარაკი (ახალც მაზრაში).

**გზის გაყვანა.** სოფ. ურაველის გლეხებმა გადასწყვიტეს კარგი დარების დადგომისთანავე შეუდგენ ე. წ. სატალახევის გზის საურმე გზათ გადაკეთებას.

**სანიტწესების დასაცავათ.** გორის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება მაზრაში სანიტარული წესების დაცვის მიზნით.

**ხალხის ჯანმრთელობისათვის.** სოფელ ორმოცში, ატენში, ახალსოფელში და ზემო გოსტიბში, გორის აღმასკომის თაოსნობით იხსნება საექიმო დახმარების პუნქტები.

**სანიმუშო თემები.** ტფილისის მაზრაში სანიმუშო თემებათ ითვლებიან მანგლისის და საგარეჯოს თემები, სადაც დადგმულ იქნება რადიო მიმღები სადგურები, თანახმად შინ. საქ. სახ. კომ სარიატის მიერ ხი. წარდგენილ სიისა.

**ელექტრო სადგური ხონში.** მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ხონში ჰიდრო ელექტრო სადგურის აგების საკითხი.

## ახალი ამბები.

—**ახალი ქარხნები** წარმოკავშირი აშენებს ორ ქარხანას ერთს იმერეთში და მეორეს კახეთში, ქარხანაში გადამუშავებულ იქნება ძვირფასი სასმელები.

—**საქართველოს** ცხენთა საჯიშოების განყოფილება მიიწვიეს დონის როსტოვის საგაზაფხულო მარულებში მონაწილეობის მისაღებათ.

**რადიოს მოყვარულთა** საზოგადოებამ გადასწყვიტა მოაწყოს საზოგადოების წევრთათვის რადიო-კოოპერატივი რადიო მიმღებ სადგურების, რადიო-ნაწილების და რადიოზე ლიტერატურის მისაწოდებლათ შეღავათიან ფასებში.

—**შრომის სკოლები ტფილისში.** ტფ. აღმასკომის ცნობით ტფილისში სულ ითვლება 94 შრომის სკოლა, აქედან 84 ინახავს თვით აღმასკომი.

—**„მთელი ტფილისი“.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ცნობათა წიგნი—„მთელი ტფილისი“ წიგნში მოთავსებული იქნება ყოველ გვარი ცნობები ქალაქის ცხოვრების შესახებ. წიგნს სცემს ქალაქის აღმასკომი.

—ტფილისში ითვლება 36 ქარ. შრ. სკოლა, 26 რუსული, 21 სომხური, 4 თათრული და დანარჩენ ეროვნებათათვის თითო—თითო.

— **წარმოების გაფართოება.** წარმოების გაფართოების მიზნით ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში მიიღეს კიდევ 27 მუშა.

—**შინა მრეწველობისათვის.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა ოზურგეთში გახსნა შინა მრეწველობის სადგური.

—**დედათა და ბავშვთა** დაცვის განყოფილებამ დაიწყო მომუშავე მოზარდთა ჯანმრთელოვის შემოწმება სხვა და სხვა წარმოებებში.

— **სასოფლო—სამეურნეო ამხანაგობანი.** გასული წლის 1-ლი ოქტომბრიდან, წელს 1-ლ მარტამდე წარმოკავშირმა დაარსა 25 ახალი სას.—სამეურნეო ამხანაგობა.

—**ახტალაში სამკურნალოთ,** სოციალური დაზღვევის სამმართველო წელს გზავნის 300 დაზღვეულ მუშა—მოსამსახურეს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ბ. შ—ს** თქვენი კორესპონდენცია „საქმისადმი დაუდევრობა თუ საქმის არ ცოდნა“ არ გავა, თუ არ გვაცნობეთ: რაში გამოიხატა სურსათის არა ერთნაირად მიღება.

**ამხ. ს. ძიროვნელს.** შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ასეულის მეთვალყურეს.** თქვენი წერილები არ დაიბეჭდება, თუ არ გვაცნობეთ თქვენი სახელი და გვარი.

**ამხ. ბ. გვარამიას.** წერილი წვევამდელების შესახებ არ გამოდგა.

**ამხ. ი. ნაფეტვარიძეს** თქვენი კორესპონდენცია მეთ. სკოლის პირველი ასეულის კომუჯრედის კრების შესახებ არ გავა. წერილი ძლიერ მშრალია, არაფერს იძლევა. ეცადეთ სწეროთ უფრო ცოცხლად.

**ამხ. ამხ. ჩუტლაშვილს, ბურჭულაძეს** თქვენი წერილები: „მოგვაქციეთ ყურადღება“ და „უნცროს მეთაურთა სკოლა“ არ დაიბეჭდება. ამაზე იყო ჩვენს გაზეთში.

## მეცნიერება და ტექნიკა

**ჭლექის საწინაალმდეგო აცრა.**

მთელი წლების განმავლობაში გამუდმებული ცდების შემდეგ ფრანგ პროფესორები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის მოუცილებელი სენის ჭლექის წინაამდეგ შესაძლებელია აცრა.

პროფესორებმა ამ უკანასკნელ ხანებში შესძლეს ერთგვარი ვაქცინის გამომუშავება, რომელიც მიღებულია რქოსან საქონლის ჭლექის ბაცილების ცოცხალი კულტურისაგან, რომლებიც ხელოვნურად იქნენ შესუსტებული.

რქოსან საქონლის ჭლექის კულტურას 13 წლის განმავლობაში იღებდენ ნაღველში მოხარშულ კარტოფილზე განვითარებით. ამ ნარევს არეული ჰქონდა აგრეთვე 5 პროცენტი გლიცერინი. ამნაირად 230 ჯერ განმეორებულ ჭლექის ბაცილის კულტურა, სრულიად უვნებელი შეიქნა ყოველგვარი ცოცხალი არსებისათვის და მათ შორის ადამიანის მზგავს მაიმუნისთვისაც.

ასეთ ნაირად სახე შეცვლილი ჭლექის კულტურას პროფესორებმა უწოდეს „C. B. q.“ ეს ბაქტერია ძლიერ ადვილად გადააქვს ყველა ცხოველებს და მათ შორის ადამიანსაც, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ბაქტერიებს შეუშხაპუნებენ ადამიანს სისხლში.

ასეთი ბაქტერიების კულტურის შეშხაპუნება სისხლში და ნაწლევთა სიღრმეში, დიდი რაოდენობითაც კი არ იწვევს ოდნავ გართულებასაც კი. ასეთი თვისების არ არიან აქამდე შემოღებული ჭლექის საწინაალმდეგო ვაქცინები, რომლებიც გაცილებით უფრო ძნელი გადასატანი არიან.

აღნიშნული ბაცილების ორგანიზმში შეშხაპუნების შემდეგ, ის (ორგანიზმი) უკვე წინაალმდეგობას უწევს ჭლექის ნამდვილ ბაცილებს. მაგრამ ერთი გარემოებაც არის. ეს ვაქცინა იცავს ჭლექისაგან მხოლოდ ისეთ ორგანიზმს, რომელიც სრულიად არ არის დაზიანებული ამ სენისაგან.

ამიტომ ის გამოსადეგია მხოლოდ ახლად დაბადებულ ბავშვებისათვის და საზოგადოთ მცირე წლოვან ბავშვებისათვის.

აღნიშნულმა პროფესორებმა უკვე მოახდინეს ცდები ახლად დაბადებულ ბავშვებზე.

პირველად დაბადებიდან 9 დღის შემდეგ პროფესორები აძლევდენ დღეში ბავშვს 6 მილიგრამ ვაკცინას.

ასეთი ცდების შემდეგ 178 ბავშვიდან პირველ 18 თვის განმავლობაში გამოურკვეველი მიზეზებით გარდაიცვალა 6, ხოლო დანარჩენები კი ნორმალურად განაგრძობდენ ზრდას.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

## განცხადებები.

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტნილი აქვთ განცხადება შემდეგ ამხანაგებს:

კომპარტიის კანდიდატს გიორგი სამსონის-ძე კეპულაძეს და კომკავშირის წევრს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე გიორგაძეს. პირველი თხოულობს კომპარტიის წევრად დამტკიცებას და მეორე კი კომპარტიის კანდიდატათ გადაყვანას.

აღნიშნული უჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით მათ შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი: ქ. ტფილისი დავიდოვის ქუჩა № 6. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმა.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი **ახალაშვილი.**

---

**მე-5-თე ქართულ ლეგიონის მე-9 რე ასეულის კომუჯრედში** განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

**უნცროს მათაურები:**

1. **თევდორაძე** ვასილი პეტრეს-ძე
2. **ჯანყარაშვილი** ქრისტეფორე მალხაზის-ძე

**წითელ არმიელი:**

1. **სვანიშვილი** ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დღის განმავლობაში **ქ ბათომი ტფილისის ქუჩა № 41.**

პ. მგ. მდივანი: **მ. მექვაბიშვილი.**

---

**1. ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში** შემოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მაღალაშვილის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი **მითაიშვილი.**

---

დივიზიის ვეტექიმ ამხ. **კ. მ. ფარეიშვილის** მიერ შედგენილია ქართულ ენაზე და დასაბეჭდად გამზადებული წიგნები:

1. **„ცხენის მოვლა“,**
2. **„ცხენი სასოფლო მეურნეობაში და წითელ ლაშქარში, მასზედ ზრუნვა და მისი მოვლის 27 მცნება“,**
3. **„შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი“,**
4. **„დაჭედვის თეორია“ პროფესორი ლანგენბახერის (რუსულიდან თარგმნილი)** და
5. ტაბულა **„ცხენისა და მუშა საქონლის დაჭედვა“ 94 სურათით და თითეული სურათის ქვეშ ქართულ—რუსული წარწერა.**

ყველა ნაშრომები განხილული და მოწონებულია მოსახლეობასა და ჯარში გასავრცელებლად რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების და კ. წ. დროშოვან ლაშქრის სვეტერინარო სამმართველოს მიერ.

თითეული წიგნი საშუალოდ ეღირება არა ნაკლებ. 45 კაპ. და არა უმეტეს 60 კაპ. დაჭედვის ტაბულა კი არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს 1 მან. 50 კაპ.

ყველა იმ სამხედრო ნაწილებმა თუ კერძო პირებმა, რომლებიც მოისურვებენ ამ წიგნების და ჭედვის ტაბულის შეძენას, შეუძლიათ შეუკვეთონ თვით ავტორს **მე-2-რე ქართულ მსრ. დივიზიის შტაბში, ოთახი მე-12-ტე.**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.